ნეს ქართულ აკადემიურ დრამაში როგორც პროფესიონალი მსახიობი. და დღეს, ვისთვის არის საიდუმლო ის ამბავი, რომ ნიკო გოცირიძე არის ჩვენი სამშობლო სცენის ქურუმის, უკვდავი ხელოვანის ვასო აბაშიძის აშუაღის და ტრანტის მეგობარი?

ვინ არის ასეთი, რომელსაც ნიკოს სახელი არ გაეგონოს და არ დამტკბარყოს მისი ხელოვნებით.

ნ. გოცირიძეს ვერაინ ვერ დასწამებს ბურჟუაზიის სამსახურს, ვინაიდან ნიკომ დაახლოვებით 40 წელიწადი გაუწია მუშათა სახალხო თეატრებს ერთგული და პირნათელი სამსახური. მან როგორც მუშა-მსახიობმა ერთხელ შეგვიტყა მუშათა კლასის კულტურული მუშაობისთვის სამსახური და ეს მტკიცე ფიცი დღემდე ისე უმწიკვლოდ შეასრულა, რომ ერთხელაც არ უღალატნია ამ წმინდა-წმინდა საქმისთვის.

და ეს გარემოება ქართველ მუშებს ერთხელაც არ გამოჰპარავია მხედველობიდან. ნიკოს ასეთი მუშაობა მარტო ტფილისით როდი ამოიწურება? მას იცნობს აგრედვე პროვინციაც.

ქართული ხელოვნების განვითარების პროცესში, ქართულმა მელომინის ტაძარმა ბევრი ენერჯით და ნიჭით სავსე ახალგაზრდა მსახიობები წარმოშვა: ალ. იმედაშვილის, მის. ჭიაურელის, ა. ვასაძის, მ. გელოვანის, ნ. ჩხეიძის, ნ. დავითაშვილის და სხვათა. სახით, მაგრამ როგორც ვხედავთ ვ. აბაშიძის და ნ. გოცირიძის კომიკური აშუაღის მდიდარი ტიპის მსახიობები ქართულმა სცენამ სამწუხაროდ ვერ იხილა დღემდე.

ხანგრძლივმა სამსახურმა ჩვენი საყვარელი ვ. აბაშიძე დააუძლურა.

ესეც ძლიერ სამწუხაროა.

დავგრჩა ნიკო გოცირიძე, ის ნიკო, რომელიც ქართველმა მუშათა კლასმა წარმოშვა თავისი წილიდან და მისცა მშობელ ერს სასამსახუროთ. ნიკო მუშაობს და იბრძვის კულტურულ ფორტზე. მუშაობს ჩუმად, წყნარად, ემორჩილება ყველას, ყოველთვის და ყველგან. ასეთი უნდა იყოს მუშა-მსახიობის მოვალეობა და ეს ნ. გოცირიძეს ესმის.

ნიკო რუსთაველის თეატრის ფარგლებში ვერა თავსდება, იგი შვითავს; მისი გული სხვაგანა სძვრს, სახელობრ იქ, სადაც მან მთელი თავისი ენერჯის წვლილი დაწკრიტა,— ეს არის ქალაქის განაპირა უბნები და ამიტომაც არის, რომ ჩვენ თითქმის ყოველ კვირა ვხედავთ მას რუსთაველის თეატრის გარეშე:—სახალხო სახლში, ნაძალადევაში, ავლაბარის მუშათა კლუბში და მრავალ სხვა ადგილებში.

ნიკო ჩვენ არა გვალატობს, ვერა გვშორდება და ეს იმიტომ, რომ მისი სული ჩვენს სულში არის ჩაქსოვილი.

და ჩვენ გვიპარებთ დღეს, ჩვენც მივიღებ მასთან რუსთაველის თეატრში, ნურც ჩვენ დავივიწყებთ, ნურც ჩვენ უღალატებთ ჩვენს მუშა-არტისტს, იმ მუშა-არტისტს, რომელმაც მუშათა თეატრებს ხანგრძლივად სამსახური გაუწია.

ნიკო გოცირიძე ყველაზე მეტი პატივისცემის ღირსია.

მსახრობი ნიკო გოცირიძე

დღეს, მარტის 29-ს, რუსთაველის თეატრში შესდგება დამსახურებულ მსახიობ ნიკო გოცირიძის ბენეფისი. მობენეფისე სდგამს ვ. აბაშიძის მონაწილეობით „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ხანუმა“-ს.

ვინ არის ნიკო გოცირიძე?

ნიკო გოცირიძე არის მუშა-მსახიობი ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. ჩვენს ქვეყანაში არიან ბევრი ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ჯერ კიდევ არ იციან, რომ ნიკო გოცირიძე არის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს უფროსი მუშა (ბრიგადირი).

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, სულ ერთი წელიწადი არის რაც თავი მიანებებინა ნიკოს რკინის გზაზე მუშაობას და გადმოიყვანა სხვა საქმეზე.

ნიკო გოცირიძე არის ჩვენი სამშობლო სცენის ქურუმის, უკვდავი ხელოვანის ვასო აბაშიძის აშუაღის და ტრანტის მეგობარი?

ვინ არის ასეთი, რომელსაც ნიკოს სახელი არ გაეგონოს და არ დამტკბარყოს მისი ხელოვნებით.

ნ. გოცირიძეს ვერაინ ვერ დასწამებს ბურჟუაზიის სამსახურს, ვინაიდან ნიკომ დაახლოვებით 40 წელიწადი გაუწია მუშათა სახალხო თეატრებს ერთგული და პირნათელი სამსახური. მან როგორც მუშა-მსახიობმა ერთხელ შეგვიტყა მუშათა კლასის კულტურული მუშაობისთვის სამსახური და ეს მტკიცე ფიცი დღემდე ისე უმწიკვლოდ შეასრულა, რომ ერთხელაც არ უღალატნია ამ წმინდა-წმინდა საქმისთვის.

და ეს გარემოება ქართველ მუშებს ერთხელაც არ გამოჰპარავია მხედველობიდან. ნიკოს ასეთი მუშაობა მარტო ტფილისით როდი ამოიწურება? მას იცნობს აგრედვე პროვინციაც.

ქართული ხელოვნების განვითარების პროცესში, ქართულმა მელომინის ტაძარმა ბევრი ენერჯით და ნიჭით სავსე ახალგაზრდა მსახიობები წარმოშვა: ალ. იმედაშვილის, მის. ჭიაურელის, ა. ვასაძის, მ. გელოვანის, ნ. ჩხეიძის, ნ. დავითაშვილის და სხვათა. სახით, მაგრამ როგორც ვხედავთ ვ. აბაშიძის და ნ. გოცირიძის კომიკური აშუაღის მდიდარი ტიპის მსახიობები ქართულმა სცენამ სამწუხაროდ ვერ იხილა დღემდე.

ხანგრძლივმა სამსახურმა ჩვენი საყვარელი ვ. აბაშიძე დააუძლურა.

ესეც ძლიერ სამწუხაროა.

დავგრჩა ნიკო გოცირიძე, ის ნიკო, რომელიც ქართველმა მუშათა კლასმა წარმოშვა თავისი წილიდან და მისცა მშობელ ერს სასამსახუროთ. ნიკო მუშაობს და იბრძვის კულტურულ ფორტზე. მუშაობს ჩუმად, წყნარად, ემორჩილება ყველას, ყოველთვის და ყველგან. ასეთი უნდა იყოს მუშა-მსახიობის მოვალეობა და ეს ნ. გოცირიძეს ესმის.

ნიკო რუსთაველის თეატრის ფარგლებში ვერა თავსდება, იგი შვითავს; მისი გული სხვაგანა სძვრს, სახელობრ იქ, სადაც მან მთელი თავისი ენერჯის წვლილი დაწკრიტა,— ეს არის ქალაქის განაპირა უბნები და ამიტომაც არის, რომ ჩვენ თითქმის ყოველ კვირა ვხედავთ მას რუსთაველის თეატრის გარეშე:—სახალხო სახლში, ნაძალადევაში, ავლაბარის მუშათა კლუბში და მრავალ სხვა ადგილებში.

ნიკო ჩვენ არა გვალატობს, ვერა გვშორდება და ეს იმიტომ, რომ მისი სული ჩვენს სულში არის ჩაქსოვილი.

და ჩვენ გვიპარებთ დღეს, ჩვენც მივიღებ მასთან რუსთაველის თეატრში, ნურც ჩვენ დავივიწყებთ, ნურც ჩვენ უღალატებთ ჩვენს მუშა-არტისტს, იმ მუშა-არტისტს, რომელმაც მუშათა თეატრებს ხანგრძლივად სამსახური გაუწია.

ნიკო გოცირიძე ყველაზე მეტი პატივისცემის ღირსია.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

ჩიუნიერება და მცხნაუ

მხედველობა თვალის განხილვით უნდა იქნას. „მუშაობის“ პირობები მარტის ნომერში მოთავსებულია წერილი „საქართველოს მუშათა კავშირის“ წარმომადგენელთა არის ჩასათვლი; მაგრამ წერილის ბოლოს მოყვანილია მთელი რიგ აქტივების და პროფესორების გვარები, რომეთაც ხელი მოაწერეს ცდების ოქმებს (სხვათა შორის ანატოლ ფრანსის). ეს აღმოჩენა ჯერ კიდევ ამ 2 ნახ. წლის წინათ არის აღმოჩენილი, რომელიც ცალკე წიგნშია დალაგებული. ავტორი ამტკიცებს, რომ ჩვენი კანის ქვეშ არსებობენ მიკროსკოპული ორგანიზმი, რომლებიც დაკავშირებული არიან ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან და რომელთაც შეუძლიათ, შესაფერის თვალის მავნებლობა. ვაკეთებულ იქნა ცდები, რომლის დროსაც პაციენტები სავსებით დახურული თვლებით, ამ „კანის მხედველობით“ არჩეულ ფერებს, ფოტოგრაფიებს, პეიზაჟებს და კითხულობდნენ კიდევ ნახევრათ სიმბოლემო უფეთაც კი ხედავდნენ, ვიდრე თვლებით. კანის ზოგიერთ ნაწილებს, სახელობრ მარჯვენა ყბას და ზუბს აქვს სასაკუთრებელი მგრძობიერობა ამ მხრივ; „კანის მხედველობის“ დროს კანზე ჩნდება დამახასიათებელი სიწითლე.

მეცნიერული ფილოსოფიის ინსტიტუტი.

პროფ. ჩელპანოვის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ფსიქოლოგიური ინსტიტუტი რუსეთში უქმდება და შედის გარდაქმნილი სახით ახლად შექმნილ მეცნიერული ფილოსოფიის ინსტიტუტში. ახალი ინსტიტუტის ფსიქოლოგიურ სექციას უხელმძღვანელებს პროფ. კორნილოვი.

ქითუ-არმელთა იქნა ლორი კლუბი

ცენტრალური კლუბი არის ცენტრი, რომლის სვანაც მავალითს ღებულობენ ქართული დივიზიის ყველა სხვა კლუბები, კლუბთან არსებობს ორი სექცია: ქართული და რუსული. სექციებთან წრეები: 1) პოლიტიკური, 2) დრამატული, 3) სამხატვრო, 4) სალიტერატურო, 5) მუსიკალური.

კლუბის წევრებად ითვლებიან ტფილისში მდგომ ყველა ჯარის ნაწილების წ.-არმიელნი, არავითარი საწევრო ვიდასახადი არ არსებობს, მხოლოდ წ.-არმიელებს ევალებათ საწევრო ფულის გადახდის მაგერი მიიღონ აქტიური მონაწილეობა კლუბის წრეების მუშაობაში.

წრეებში მუშაობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან. წრეების მიზანია გამოიშვ-შავონ წითელ-არმიელში აქტივობა და უნარი თვითგანვითარებისა, მოაწოდონ სამხედრო სწავლების დროს განვლილი მასალა მხატვრული ფორმებით და ამით გაუადვილონ მისი შეთვისება.

კვირაში ერთხელ ეს წრეები თავისი ძალებით მართავენ საღამოებს. იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში გამართულ იქნენ საღამოები: ანტირევოლუციური, ლითონის წინააღმდეგ, საღამოები ლოზუნგებით „გაუმარჯოს წითელ ფლოტს“, „გაუმარჯოს წითელი არმიის 5 წლის თავს“, „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 2 წლის თავს“, საღამო პარტიის კომუნის აღსანიშნავად.

ყოველ დღე იკითხება პოპულარული ლექციები ასტრონომიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, სანიტარიიდან და სხვ.

კლუბთან მოწყობილია „წითელ-არმიელების შემოქმედების კუთხე“, სადაც გამოფენილია წითელ არმიელების ნაწარმოებნი, პიესები, ლექსები, კედლის გაზეთები, ნახატები. ერთ კედელზე მოთავსებულია ქართული დივიზიის ისტორია ფოტოგრაფიულ სურათებით.

კლუბთან არსებობს კინო. პირველი სენსი დათმობილი აქვთ წითელ-არმიელებს. სურათის ჩვენებამდე წითელ-არმიელებს ეძლეოთ განმარტება სურათის შინაარსის, მისი იდეური მნიშვნელობის.

კლუბთან არსებობს საკმაოდ მდიდარი წიგნთ-საცავი.

მოწყობილია ორი სამკითხველო, ჩუმი და ხმა-მალალი კითხვით. ამ უკანასკნელში იკითხება განმარტებით ბროშურები, გაზეთები იმ წითელ-არმიელთათვის, რომელთაც წერა-კითხვა კარგათ არა აქვთ შეთვისებული.

სამკითხველოსთან არსებობს წრე, რომელშიც გადიან საბიბლიოთეკო საქმის ტენიკურ და იდეურ მხარეებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კლუბის სათეატრო დარბაზი და კინო ერთად ერთი შემოსავლის წყაროა დივიზიის პოლიტანყოფილებისა. მთელი შემოსავალი უნდება კულტურულ საქმის წარმოების დივიზიაში. ორი დღე თეატრში დათმობილი აქვთ ა. სუმბათაშვილის სახელობის დრამატული წრეს, რომელიც მართავს წარმოდგენებს ტფილისის ტენიკუმების მოწვევითავე. 150 ადგილი დათმობილი აქვთ წითელ-არმიელებს. თავისი რეპერტუარით და შეგნებული თამაშით ამ წრემ დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა წითელ-არმიელებში.

ცენტრალური კლუბის დრამატული წრე ელიოზ სუხიშვილის რეჟისორობით ამზადებს დასადგმელად ახლო მომავალში მელოდეკლომაციას „სიკვდილის აჩრდილი“ და შარკს „სულის მასას“.

ქართული დივიზიის საავიაციო დივიზიონთან მოეწყო კლუბი ამხ. ეგოროვის სახელობის. შეუდგნენ მუშაობას დრამატული და პოლიტიკური წრეები.

ქართული დივიზიის პოსპიტალთან არსებობს დრამატული წრე, რომელიც ყოველ კვირა მართავს წარმოდგენებს და გასამართლებებს. წრე განიცდის დიდ გაკრებებს დეკორაციების და სცენისათვის საჭირო ნივთების უქონლობის გამო.

მისი უარადღებ სოფელს

ამ წერილში მინდა გაუზიარო მკითხველს ის, თუ როგორი შეხედულებებია არის გლეხი სახელმწიფო გადასახადების შესახებ.

შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა, ვისაც სოფელში არ უცხოვრია, ან მასთან დაახლოებული არა ყოფილა, არ იცის გლეხის ზნე-ჩვეულება და მის სულსა და გულში ღრმად არ ჩაუხედნია. მას ისე ჰგონია, რომ გლეხი წინააღმდეგია სახელმწიფო გადასახადების, —რაც გინდ მას დიდი შეძლება ჰქონდეს, თუ მას ძალი არ დაატანე და ძალით არ გადაახადებინო. მაგრამ ასეთი შეხედულება დიდ შეცდომად მოეჩვენება, როდესაც ახლო გაეცნობა გლეხის ცხოვრებას და მის ხასიათს.

გლეხი წინააღმდეგია მხოლოდ უსწორო-მასწორო გადასახადისა, რაც მას არ შეუძლიან და მაინც ძალით ახდევინებენ, წელში სწყვეტენ, ვალსა და ვაზშს აღებინებენ და არაეინ რას ჰკითხავს.

ამნაირი გადასახადები კარგად გვახსოვს თვით-მპყრობელობის დროს, როდესაც „ფოშტის ფულს“ ახდევინებდნენ ხოლმე გლეხებს.

ბევრი გლეხი დაურბევიათ ამ გადასახადის-თვის, საოჯახო ნივთები გამოუტანიათ და სასოფლო „კანცელარიაში“ გაუყიდნიათ; ბევრი კიდევ გაუმართაბებიათ ბოქაულ-მამასახლისების ჩაფრებს იმისთვის, რომ გლეხს ვერ უშოვნია, ან ვერსად უვალნია შეწერილი ფოსტის ფულის გადასახადი.

ამასთანავე გლეხმა არ იცოდა, რისთვის იხდოდა წვითა და დავით ანაღებ ფულს, სად მიდიოდა, ვინ ხარჯავდა და რა სარგებლობა მოჰქონდა მას გადახდისთვის.

გლეხი მხოლოდ გადახდელი იყო, მას მარტო გადასახადი ეკითხებოდა და, თუ სად დაიხარჯებოდა, ეს მისი საქმე არ იყო!

და რაღა ვასაკვიროლია, თუ ამისთანა გადასახადი გლეხს ეზიზღებოდა, სძაგდა და სულ იმის მონატრული იყო, რომ როგორმე განთავისუფლებულიყო ამნაირ უწყისო გადასახადებისაგან და შემოღებულყო სახარულიანი გადასახადი, შეძლებისადა კვალობაზედ.

მართლაც თვითმპყრობელობის რეჟიმის მმართველნი თითქოს მიხედნენ ამ უსამართლო გადასახადს და სულ ახალი სისტემა შემოიღეს სახელმწიფო გადასახადების შესაკრებად. გააუქმეს „ფოსტის ფული“ აკრება და დაწესდა გადასახადი მამულის რაოდენობაზე, ანუ როგორც ეძახდნენ, „აკენკა“.

ვისაც ბევრი მამული ჰქონდა, ბევრს იხდიდა, ვისაც ცოტა, —ცოტას.

ამნაირმა გადასახადმა, რასაკვირველია, ცოტა წელში გაშალა გლეხობა, თუმცა ამითაც არ იყო კმაყოფილი, რადგან კიდევ არ იყო წესიერად მოწესრიგებული გადასახადების საქმე და ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

გლეხი უკმაყოფილო იყო ძველი რეჟიმის, როგორც მოვასხსნეთ ზევითაც, იმისთვის, რომ მას არავინ რას აგებინე და ვისთვის და რისთვის იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, რა კეთებოდა და რას ხმარდებოდა.

აგრედვე მისი დიდიხნის სურვილი იყო მიწა-წყალს დაჰპატრონებოდა, სამყოფი ჰქონებოდა მიწა, რასაც კი ის თავის ძალით დაამუშავებდა და გადასახადს როგორ გაეცქეოდა, თუ კი ის მამულის კვალობაზე გადახდიდა და ზერელედ არ იქნებოდა შეწყვეტილი.

ამიტომ იყო, რომ გლეხი დიდის სიხარულით შეხვდა რუსეთის რევოლუციას, თვითმპყრობელობის დამხობას, რადგან ამ რევოლუციისაგან გამოელოდა ხსნას და ადამიანურ უფლებების მოპოებას, რომელსაც ის დიდი ხანია ელოდებოდა. მაგრამ პირველ ხანებში ის თითქოს პარში ჩალაგამოვლებული დარჩა, რადგან მენშევიკურმა მთავრობამ მამულ-დედული თითქმის ისევ ძველი ბატონების ხელში დასტოვა „ნორმის“ სახით და, რაც ამ „ნორმის“ გადარჩა, ის კიდევ საღალოდ იქნა გამოტოვო.

ამნაირმა მოქმედებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებზე და ყველას გული გაუტეხა, მეტადრე უმიწა წყლო გლეხებს.

მენშევიკურმა მთავრობამ სამი წლის განმავლობაში ვერ გადასდგა გაბედული ნაბიჯი, რომ გლეხობის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა, მოეცა მიწა-წყალზე კერძო საკუთრება, მისი ყრდვა-გასაღება, გადაეცა გლეხებისთვის მთლიანად, ვინც მიწაზე მუშაობდა და გადასახადებიც მიწების მი-

ხედვით დაეწესებინა, რადგან გლეხის შემოსავლის წყარო უმთავრესად მიწა-წყალია და ამ მიწა-წყლის მიხედვით უნდა გადახადოს სახელმწიფო გადასახადი ყოველმა მიწის მუშა გლეხმა; ეს არის მისი შემოსავლის საზომი-სასწორი.

აი ერთხელ რა მითხრა რევოლუციის პირველ ხანებში ერთმა ნაცნობმა გლეხმა, რომელიც კარგა ხანს არ მენახა და მენტერესებოდა მასთან საუბარი, მინდოდა აგრედვე გამეგო თუ როგორი შეხედულებებია იყო რევოლუციამზე.

— მომილოცავს თავისუფლება მეგობარო! — მომესალმა ლიმილით.

— მეც გილოცავ განთავისუფლებას! — მიულოცე მეც.

— წელიწადი გადის და ჯერ არაფერი გადავიხდია. ვიცო, არ აგვედება და ისევ ისა სჯობიან ყოველწლივ გადავიხდით ვიდრე ერთბაშად დაგავწყვს კისერზეო.

— ძალიან გულით გინდა, რომ გადაიხდო? — შევეკითხე.

— ბევრიც რომ არ მინდოდეს, გენაცვა, სად გაგონოდა ისეთი სახელმწიფო, რომ უგდასახადოთ იცხოვროს? სხვა არა იყვის რა, ამოღება მოხელებს და ჯარის შენახვა არ უნდა? — მომიგო დაკვირვებულმა გლეხმა.

— კაი შეხედულებისა ყოფილხარ და ყველაფერს მართალს ამბობ, მაგრამ რათ იყავით მამულ-დედული უკმაყოფილონი გადასახადებისა?

— განაწვებ მალაპარაკებ, თორემ შენც კარგად მოგესხნება ყველაფერი. ჩვენ უსამართლო, უსწორო-მასწორო გადასახადები გვჭულს, თორემ სამართლიან გადასახადს, რომელიც შეძლებისადაკვალობაზე იქნება აკრებილი, სად გავეცქევით? — მომიგო მტკიცედ გლეხმა.

მართლაც, ძალიან იშვიათია ისეთი გლეხი, რომ სამართლიან გადასახადზე უარი სთქვას, რაც მის შეძლებას შეეფერება.

ამასთანავე ეჯავრება გლეხს ისეთი „ხარჯის“ ამკრებები, რომელნიც ბოროტად იყენებენ მთავრობის მიერ გაწერილ გადასახადის შეკრებას, ზედმეტს სციცლავენ, „გამოიქეიბიან“ და ამ გამოჩარჩენით გლეხის თვალწინ უფ

ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ამითაცხადებს ეველს მოქალაქეებს საყურადღებოთ,

ქუთაისის თეატრი. წელს ძლიერ გვიან დაიწყო სეზონი. ამის მიზეზი იყო თეატრის ადმინისტრაცია, რომელიც თავის დროზე არ შეუდგა მსახიობთა მოწვევას. ზოგჯერ იქნა იანვრის შუა რიცხვებში გვილი თეატრის კარები. დასის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა იუზა ზარდალიშვილი, რომელმაც ჩვენი იმედები საყვებით გააპართა. მიუხედავად დასის სისუსტისა, მან შესძლო ამ სუსტი ძალებით ეწვევებინა საზოგადოებისათვის ისეთი რთული პიესები, როგორც არის „ურის სისხლი“, „მემკვიდრე პრინცი“, „ედმონდ კინი“, „ურთულ აქოსტა“, „მედია“, „გადაჭრილი მუხა“, „ზღისთან“, „ახალი მოძღვრება“ და სხვა. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ესეთი მწყობრი წარმოდგენები, როგორც წელს, კარგა ხანია არ ღირსებია ქუთაისის საზოგადოებას, ამიტომაც თეატრი მუდამ გაქვდილია ხალხით.

დასში არიან ი. ზარდალიშვილი, ართა ლოლა, სარაული, ბალანჩივაძე, რომელნიც საზოგადოების ყურადღებას იქცევენ. ახალგაზრდებში აღსანიშნავი არიან მუჟაგირაძის ქალი, ჩხიკვაძე, აბაჯელი, რომელნიც თავიანთი შრომით ყურადღებას იქცევენ.

წელს პირველად ვხვდებით ახალგაზრდა მსახიობს ადამიას, რომელსაც აქვს სასცენო ნიჭი; თუ მუჟაგირაძე განაგრძობს მუშაობას, იგი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ქართულ სცენაზე ესევე ითქმის ყვინის ასულზე.

დიდი მადლობის ღირსია იუზა ზარდალიშვილი, რომელიც ასე თავგამოდებით მუშაობს, როგორც მსახიობი და როგორც რეჟისორი. მან წელს დაუმტკიცა ქუთაისის საზოგადოებას, რომ ქართული დრამატული დასი ქუთაისში, რომელიც შექმნა ალექსი-მესხიშვილმა, არ მომკვდარა—და ამ საქმეს განაგრძობს მისი ღირსი მოწოდებით.

ახლო მომავალში დაიწყება ქ-ნ ნინო ჩხეიძის გასტროლები.

მეთვალყურე.

ნაძალადევის თეატრი. მსახიობ პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით, მარტის 22 ხუთშაბათს ტუ. უბნის რკ. გზის პროფკავშირთან არსებული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი იქნა კომედია „მელანის ოინები“, შაბათს 24 მარტს. ამავე დასის მიერ წარმოდგენილი იქნა „ყომარბაზის წყარობა“, პავლე ფრანგიშვილის მონაწილეობით. ამ წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა. ყველა მონაწილე თავის ადგილას იყო, რამაც დამსწრეში დიდი აღკრთოვანება გამოიწვია.

კვირის აპრილს 1 ნაძალადევის თეატრში ადგილობრივი დასი შალვა დადიან უმართავს 30 წ. იუბილეს. წარმოდგენილი იქნება მისივე ორიგინალური დრამა „გეგეკორი“ თვით იუბილიარის მონაწილეობით. გეგეკორის როლს შესრულებს პავლე ფრანგიშვილი.

შალვა დადიანის ახალი დრამა. შალვა დადიანმა დაწერა ახალი დრამა „სამია“ სამ მოქმედებაში. პიესის შინაარსი აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან, მთავარი გმირები ინტელიგენტებია.

სახალხო სახლის იუბილე. წელს სრულდება სახალხო სახლის 30 წლის იუბილე. სახ. სახლის მართვლობას განზრახული აქვს მოაწყოს იუბილური ფართი მასშტაბით.

კარგარეთლის იუბილური გამო. და კარგარეთლის იუბილური დროს გაიხატება დიდი ეროვნული კონცერტი, სადაც მონაწილეობას მიიღებს ტფილისში მყოფი ყველა გუნდი. აგრედვე საოპერო მსახიობნი შესრულებენ იუბილიარის რომანსებს.

ქალთა ფურნალი. იბეჭდება და შალვა გამოვა ქალთა ფურნალი „ამიერ კავკასიის მშრომელი ქალი“ № 3, გამოცემა ამიერ კავკასიის კომუნისტურ პარტიასთან არსებულ ქალთა განყოფილების გამოცემა.

პარასკევს 30 მარტს სახალხო სახლში პოლიტიკურ განათლ. მთავარ მმართველობის ქართულ დრამატულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება იქიმი შტოკმანი.

კვირის 1 აპრილს წარმოდგენილი იქნება „უფრო გვიან მეფენი“ მთელი დასის მონაწილეობით და შ. დადიანის რეჟისორობით.

შედეგების გასწორება.

გუშინდელ ნომერში ჩვენი განკითხვა ხელოვნებაში, მედიკოსის საღმრთოების წერილში გაიპარა შემდეგი შეცდომა არის: გვინებ შეხვიდოდე—მოიფიქრე, როგორ შეხვიდე. უნდა იყოს: გვინებ შეხვიდოდე—მოიფიქრე გამოსვლაზე.

ქტურაშს რი მქედებ ნი და განე რეკლემ ნი

წყაიად, ის გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს ხოლმე თვითუფლი წლის მაისის 1-დე. სასწრაფო სამედიცინო მუშაობის სეზონის დაწყების გამო და არსებული სარწყავი ქსელების მოწყობის და განვითარებისათვის წინადადება გეძლევათ სასწრაფო შედგენი ნარჩენის აკრეფას, როგორც გასული, ისე მიმდინარე წლისათვის იმ ანგარიშით, რომ მთელი გადასახადი აკრეფილ იქნეს არა უგვიანეს 1923 წლის მაისის 1-სა, მტხოვრებთა შორის სასურსათო რესურსების ნაკლებობის გამო, გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს ფულად სიმინდისა და ხორბლის ფასების ანგარიშით იმ მომენტში, როცა შეტანილი უნდა ყოფილიყო აღნიშნული წყლის გადასახადი.

შემოაღნიშნული 150 ნომრის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად. გადასახადი სარწყავი წყალისათვის შეტანილ უნდა ყოფილიყო ხოლმე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ხოლო რადგანაც აღნიშნულ უწყებებში ფუნქციები წყლის მეურნეობის სფეროში გაერთიანებულ იქნა და გადაეცა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ამის გამო წინადადება გეძლევათ შემოსენებული გადასახადი სარწყავი წყლის სარგებლობისათვის შეტანილ იქნეს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში. ამასთან ერთად ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო მის-

ცემს თავის ადგილობრივ ორგანოებს ინსტრუქციის გადასახადის შესახებ წყლის სარგებლობისათვის და, აგრეთვე, ინსტრუქციას წყლის უმაღლესი საბჭოს მიერ შესრულებულ სამილითარიო სამუშაოთა ორგანოების ანგარიშში გადასახადის შესახებ. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის სამმართველომარე. შ. ელიაშვილი. სახალხო კომისარიატის სამმართველოში. 1923 წ. მარტის „ 20 „ ტფილისი—სახალხო. რედაქტორი—სარედქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ამითაცხადებს ეველს მოქალაქეებს საყურადღებოთ,

რომ თანახმად ამიერკავკასიის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთი „ზარია ვოსტოკაში“ მიმდინარე წლის 9 მარტს,

დაწესებულია ერთდროული საერთო საომალაქო გადასახადი

რათა აღნიშნული გადასახადის საშუალებით გაძლიერდეს რესპუბლიკათა საშუალებანი საერთო სახელმწიფო საჭიროებათა და კერძოდ სწავლა-განათლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს გადასახადი დაწესებულია შემდეგ ნაირად:

- 1. საომალაქო გადასახადი გადახდება ყველა შრომის უნარ მქონე მოქალაქეთ, რომლებთაც მიმდინარე წლის 1 მარტისათვის შესრულებული ექნებათ 18—60 წლამდე.
2. გადასახადიდან განთავისუფლებიან: ა) მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს არა უმაღლეს მე-9 კატეგორიისა 17 ხარისხიან ცხრილის მიხედვით. ბ) სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომლებიც იღებენ ჯამაგირს სახედრო ტარივის მიხედვით по Основному тарифу; გ) მილიციის თანამშრომელნი, რომლებიც ასრულებენ შეიარაღებულ დამცველთა სამსახურს, დ) მოსწავლენი და მშენებელი სახელმწიფო სასწავლებლებისა და კურსებისა თუ ისინი სწავლასთან ერთად არ მსახურებენ, არ მოხელეობენ, არ მრეწველობენ და საზოგადოდ არ ეწვეიან რაიმე ნიადაგ მუშაობას.
შენიშვნა: ამ პუნქტში აღნიშნული შედგავთი ვრცელდება მხოლოდ იმ მოსწავლეებზე და მშენებლებზე, რომლებიც მეცადინეობენ იმ სასწავლებლებში ან კურსებზე, საცა სწავლა გრძელდება სამ თვეზე ზედმეტ ხანს. მოსწავლენი და მშენებელი იმ სასწავლებლებში, ან კურსებში, საცა სწავლა გრძელდება სამ თვეს და ან კიდევ ნაკლებ ხანს, აგრეთვე მოსწავლენი და მშენებელი კერძო სასწავლებლისა ან კურსებისა, მიუხედავად სწავლის კურსის ვადისა, იხდიან გადასახადს საერთო წესით; ე) სრულიად შრომის უნარ მოკლებულნი ინვალიდები, რომლებთაც ინახავს სოციალური რამხარების დაწესებულება, ურთიერთ დამხმარე ორგანოები, კერძო პირნი და დაწესებულებანი. ვ) ქალები, რომლებთაც ყავთ ერთ ან მეტი ბავშვები 14 წლამდის, თუ ისინი სხვის დაუმხარებლად ეწვეიან ოჯახის მოვლა პატრონობას; ზ) დიასახლისნი, რომლებიც ემსახურებიან თავიანთ ოჯახს 5 სულის ან მეტი შემადგენლობით, ამ რიცხვში თვით დიასახლისის თანმართვითაც.
შენიშვნა: ამ პუნქტის მიხედვით განთავისუფლებილთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ დიასახლისნი თვით ემსახურებოდნ თავიანთ ოჯახს დაქირავებულ მუშა ხელის გარეშე, თ) შრომის ბირვის რეგისტრაციაში გატარებული უმუშევარი, რომლებთაც არ მოეპოვებათ სახსარი ცხოვრებისათვის. ი) მიწის მუშა გლეხი, რომელსაც არ აქვს სხვა შემოსავლის წყარო და მასთან არ ყავს მუშა საქონელი. კ) ამ მუხლში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრნი, რომლებთაც არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი.
შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გადასახადისაგან განსათავისუფლებული პირთაგანი მისაღებია მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ადგილი 1923 წლის 1 მარტისათვის.
3. გადასახადის განაკვეთები დაწესებულია ჯგუფად (ამიერკავკასიის ფულის ნიშნით) შემდეგ ნაირად: ა) იმ მუშა მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს პერსონალურად ცხრილის გარეშე და აგრეთვე ლიტერატურათვის და მხატვართათვის—800,000 მან., ბ) პროფესიონალურ კავშირის წევრთა მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 17 ხარისხიან ცხრილის მიხედვით—100,000 მან. გ) ხელისათვის, შინამრეწველთა და სხვა წვრილ მრეწველთათვის, რომლებთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშა-ხელი—500,000 მან. დ) სოფლის მეურნე გლეხთათვის და სხვა პირებისათვის, რომლებიც თვით ეწვეიან მიწის მუშაობას და სასოკლო მრეწველობას—200,000 მან. ა) თავისუფალ პროფესიის მოქალაქეთათვის (ექიმები, კბილის ექიმები, დამცველთა კოლეგიის წევრნი და აგრეთვე გამგებების წევრნი, სახელმწიფო საწარმოთა დირექტორები, ტექნიკოსები, ინჟინერები და სხვ.)—10,000,000 მან.
თანხმად ამიერკავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილების მიმდინარე წლის 14 მარტიდან (იხილე გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ 17 მარტიდან № 60). საეკონომ-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონი და თანამდებობელოების (ყოველ თანამდებობისათვის ცალკე) გადასახადის განაკვეთი დაწესებულია მათ საეკონომ-სამრეწველოსაგან მიღებულ მოგების მიხედვით, რომელიც აღრიცხულია საგადასახადო საკრებულოს მიერ უკანასკნელად სარწყავი გადასახადით დაბეგვის დროს, შემდეგ ნაირად: 1) იმ პირთათვის, რომლებს მოგებაც აღრიცხულია არა უმეტეს 10,000,000 მანეთისა, გადასახადი—1,500,000 მანეთი; 2) იმ პირთათვის, რომლებს მოგებაც აღრიცხულია 10—20 მილიონ მანეთამდე—გადასახადი—3,000,000 მანეთი; 3) იმ პირთათვის, რომლებს მოგებაც აღრიცხულია 20—50 მილიონ მანეთამდე, გადასახადი—5,000,000 მანეთი და 4) იმ პირთათვის, რომლებს მოგებაც აღრიცხულია 50 მილიონ მანეთზე ზედმეტი თანხით, გადასახადი—7,000,000 მანეთი. ახლად გახსნილ სავაჭრო-სამრეწველოს მეპატრონეთათვის და თანამდებობელოთათვის გადასახადს აწესებს რაიონის სამოქალაქო გადასახადის კომისია იმის და მიხედვით, თუ როგორ არიან დაბეგვრულნი ამგვარივე სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. ზ) იმ პირთათვის, რომლებიც ეწვეიან კომისიონერობას, ბირვის და საკრედიტო ოპერაციებს კანტორის უქონლად, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც არ ეწვეიან არაფიარ განსაზღვრულ ხელობას და მასთან არ არიან გატარებული რეგისტრაციაში შრომის ბირებაზე—10,000,000 მანეთი. სხვა დანარჩენ მოქალაქეთათვის 200,000 მან.
4. ის გადახდები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ეკუთვნიან ამ ცხრილს სხვა და სხვა ჯგუფებს. დაიბეგრებიან უმაღლესი ჯგუფის მიხედვით.
5. ოჯახის წევრნი, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახის უფროსთან ერთად, გადაიხდიან ოჯახის უფროსზე შეწერილ გადასახადის ნახევარს თუ თვითონ მათ არ ეკუთვნიან ზედმეტი გადასახადი.
6. გადასახადი უნდა იქნეს გადახდილი ქალაქებში არი უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მაისისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ივნისისა.
7. ვედაზედ შეტანილი გადასახადი გადაირიცხება ნარჩენში და აკრეფილი იქნება საერთო წესით; ამასთან დასაშვებია დაუყოვნებლოდ იხლებითი გადახდენების საშუალებათა მიღება, ამ გადასახადს პირველ თვეში დაწესებულ ვადის გახდის შემდეგ დაერიცხება ჯარიმა 100 პროცენტი, ხოლო მეორე თვეში კი—200 პროცენტი.
8. გადასახადის თავის დროზე შეტანლობისათვის პასუხისმგებ ეყისრება თვით ვადაზედს და მოეხსნება მათ მხოლოდ კვიტანციის წარდგენის შემდეგ გადასახადის სრულიად შეტანაში, ვარდა იმ პირთა, რომლებიც აღნუსხულია ამ განცხადების მე-10 მუხლის შენიშვნით.
9. სამოქალაქო გადასახადის გატარებას განაგებ ა. კ. ფინანსკომისიის საქართველოში რწმუნებულის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას, ხოლო მის ასრულებას რაიონის საგადასახადო განყოფილებათა გამგენი.
10. გადახდელთა ხიის შედგენა: ა) იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებებში და საწარმოებში, აგრედვე კარძო ქარხანებში და ფაბრიკებში, საცა არიან საქარხნო საფაბრიკო კომიტეტები, ადგენს დაწესებულების ადმინისტრაცია ორ ეკვემლიარად და უგზავნის იმ რაიონის საგადასახადო განყოფილებას გამგეს, რომლის რაიონშიც არის მოთავსებული თვით დაწესებულება.
შენიშვნა: ყოველდღე ამ ხიისგან ან მუხლში აღნიშნული გადახდებისაგან გადასახადის თავის დროზე შეტანლობისათვის, ეკისრება დაწესებულებების ადმინისტრაციას. ბ) ქალაქებში და ქალაქის ადგილებში სიების შედგენა ევალება სახლის მეპატრონეთ, გამგეთ, ან მათ მოადგილეთ. თავის დროზე ხიების წარუდგენლობისათვის, აღნიშნულნი პირნი დაჯარიმებულ იქნებიან არა უმეტეს 25,000,000 მანეთის ა, კ. ფულის ნიშნით.
შენიშვნა: მეპატრონენი იმ ხალხებისა, რომლებიც დანიშნულია გადასახადისაგან განსათავისუფლებულ პირების საცხოვრებლად, (წითელ არმიელთა ყაზარმები, მოსწავლენი სახელმწიფო სასწავლებლებში) სიებს აღარ ადგენენ; გ) სოფლებში სიების შედგენა ევალებათ თემთა აღმასრულებელ კომიტეტებს რომლებიც ამ შემთხვევაში სარგებლობენ საოჯახო, სასურსათო გადასახადის, სანიტარულ გადასახადის და სხვა ამ გვარი სიებით.
11. გადახდელთა სიებში უნდა იქნეს აღნიშნული შემდეგი ცნობები: ა) გვარი, სახელი და მამის სახელი ვადაზედისა, რომელ კატეგორიული ადგილი; გ) დ) ხელობის მიმდებრობა. დაწესებულებათა და საწარმოთა სიებში მუშა-მოსამსახურეთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომელ საცხოვრებელი ადგილს ვადაზედელი ჯამაგირს 17 ხარისხიან ცხრილის მიხედვით, ან რაოდენობა ჯამაგირისა ამ მოხელეებისა, რომლებიც იღებენ ასეთს ცხრილის გარეშე.
12. ქალაქებში გადახდელთა ხია უნდა წარედგინოს ხათანათო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა, ხოლო სოფლებში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 მაისისა.
13. ზღაანების და სიების ფორმების მისაღებად, აგრეთვე დაწვრილებითი განმარტებისათვის აკრეფის და მისი ხაზინაში შეტანის შესახებ, ყველა დაწესებულებებში, სახლის მეპატრონეებში და თვით ვადაზედლებში უნდა მიმართონ ხათანადო რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგეს. საჭირო ზღაანებს, ფორმებს და წესდებს, დაწესებულებანი მიიღებენ აგრედვე ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს პირდაპირ გადასახადთა განყოფილებაში.
ა. კ. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში ბ. ზიზინიშვილი. პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე ბაჟ ჯანაშვილი.